„გვხსოვდეს ვიცი გორიცხა ხარ!“

გვარი და ტრადიცია

3 (41)

მარტი 2017 წ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“
სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი

საინფორმაციო ქრონიკა

_ 2017 წლის 6 მარტს გაიმართა გვარების წინამძღოლთა დარბაზის წევრთა აქტივის შეკრება. დარბაზის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა ვაჟა ნადირაშვილმა ქალბატონებს მიულოცა მოახლოვებული ქალთა დღესასწაული. ასევე ბატონ ლევან ფრუიძეს დაბადების დღის აღსანიშნავად (24 თებერვალი) მიულოცა და გადასცა დარბაზის სახელით ღვინის დიდი ენციკლოპედია.

_ პატრიარქის აღსაყდრების 40 წლისთავისა და საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითშემოქმედების საღამოს ჩატარების შესახებ ინფორმაცია გააკეთა ვაჟა ნადირაშვილმა.

მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის მშენებლობის ფორმატში მის ირგვლივ ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ბერების საუკუნეთა განსასვენებლის მოწყობის ღონისძიებებში გვარების მონაწილეობის შესახებ წინადადება წამოაყენა ბატონმა თენგიზ მაისურაძემ.

გამოითქვა აზრი, რომ გვარებს სურვილისდამიხედვით შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებებში.

მოისმინეს ბატონ ოთარ კერვალიშვილის ინფორმაცია რაჭაში ჭიორ-ღების გზის გაყვანის თაობაზე მიმდინარე მუშაობის შესახებ.

სხვადასხვა ინფორმაციებით გამოვიდნენ ხათუნა სხირტლაძე, ნაზი ქოიავა, მიხეილ კვირკველია, ფრიდონ ლოლაძე.

_ 24 მარტს საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში გაიმართა კონფერენცია ენდემური კულტურების გადარჩენის პრობლემების შესახებ.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა და კონფერეციას უძღვებოდა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი თამაზ დარჩიძე.

მოხსენება გააკეთა წამყვანმა მეცნიერ-მუშაკმა, ამ საქმის ენთუზიასტმა ქალბატონმა ინესა მაისაიამ. სიტყვით გამოვიდნენ: ისტორიკოსი, ეთნოგრაფიის დოქტორი ლევან ფრუიძე, ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი შალვა სიხარულიძე, პროფესორი ვახტანგ სართანია.

აღინიშნა საპატრიარქოს დიდი მხარდაჭერა ამ ეროვნულ საქმეში.

კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის წევრები ბატონები: ვაჟა ნადირაშვილი, თენგიზ მაისურაძე, მარატ კიტოვანი. დასასრულს ნაჩვენები იქნა დოკუმენტალური ფილმი ბოტანიკის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ.

ბერების საძვალე მახათაზე

მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის მშენებარე მონასტრის კომპლექსის, მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამების ლავრის მღვდელმსახურის, იღუმენ იონას თაოსნობით შენდება სამების ლავრის ბერების საძვალე.

სრულიად საქართველოს გვარის

ღობის საძირკვლის ჩასხმის ეპიზოდი
სურათზე ფრიდონ ლოლაძე, თენგიზ მაისურაძე, ნოდარ მამუკაშვილი.

წინამძღოლთა დარბაზის სხდომაზე, დარბაზის საბჭოს წევრმა თენგიზ მაისურაძემ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას, რომ დარბაზში გაერთიანებულ გვარებს შეძლებისდაგვარად მიეღოთ მონაწილეობა ამ კეთილშობილურ საქმეში. ბატონ მაისურაძის წინადადებას მხარი დაუჭირა საგვარეულო კავშირების ათამდე წინამძღოლმა. ლოლაძეთა გვარის წინამძღოლმა ბატონმა ფრიდონ ლოლაძემ თავის თავზე აიღო მშენებლობის ბეტონით მომარაგება და ამ წამოწყების ხელმძღვანელობა.

ამა წლის 20 მარტს ფრიდონ ლოლაძის, თენგიზ მაისურაძის და ნოდარ მამუკაშვილის მონაწილეობით განხორციელდა საძვალეს გალავნის ფუნდამენტში 18 კუბომეტრი ბეტონის ჩასხმა. ბეტონის შესაძენად თანხები გაიღეს შემდეგმა საგვარეულო კავშირებმა:

ლოლაძეებმა _ 150ლარი
მამუკაშვილებმა _ 150ლარი
ნადირაშვილებმა _ 150ლარი
ლეკვეიშვილებმა _ 15ლარი
ბრეგვაძეებმა _ 150ლარი
ჩიხლაძეებმა _ 150ლარი
შონიებმა _ 150ლარი
ჭუმბურიძეებმა _ 150ლარი
მაისურაძეებმა _ 150ლარი
სულ _ 1350ლარი

საძვალეს კედლების ამოსაყვანად საჭიროა 600 ცალი ბლოკი 30X20X40-ზე და 1005 ცალი ბლოკი 20X20X40-ზე. მათი ღირებულებაა დაახლოებით 1850ლარი.

მოგიწოდებთ გვარების წინამძღოლებს, ერთობლივი ძალებით დავამთავროთ წამოწყებული საქმე. ამისათვის საჭიროა თქვენთვის ხელმისაწვდომი ოდენობის თანხის ჩარიცხვა ქვემოთ აღნიშნულ ანგარიშზე:

ლიბერთი ბანკი
GE86LB0115123231843000
მაისურაძეთა საგვარეულო კავშირი
კოდი 202060731

აუცილებლად მიუთითეთ ,,ბერების საძვალეს მშენებლობისათვის“.

P.S. საძვალეს კედელზე გაკეთდება დაფა, სადაც ამოტვიფრული იქნება ის გვარები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ მადლიანი საქმის განხორციელებაში.

„ქართული ფარმაცია და მაისურაძეები“

ამ პატარა წერილით მსურს მადლობა გადავუხადო ბატონ თენგიზ მაისურაძეს ა. წ. 2 მარტს მისი წიგნის „ქართული ფარმაცია და მაისურაძეები„ პრეზენტაციაზე მოწვევისათვის. მის მიერ წარმოთქმული შესავალი სიტყვა ცალკე აღნიშვნის ღირსია, მაგრამ მე მსურს ჩემი მოკრძალებული აზრი გამოვთქვა მის შესანიშნავ ნაშრომზე, რომლის გაცნობამაც ნამდვილად დიდი სიამოვნება მომანიჭა.

წიგნი ფაქტობრივად საქართველოში წინა ორი–სამი საუკუნის მანძილზე საპროვიზორო საქმის აღორძინების ისტორიაა, რომელიც დაფუძნებულია არსებულ დოკუმენტებზე. ასევე ეს არაა უბრალოდ საარქივო მასალის შეგროვება, რომელიც დიდი შრომის შედეგად იქნა მოძიებული,

მასალების არსებობა ერთია, მათი თავმოყრა და იმგვარად მოწოდება, როგორც ეს გააკეთა ავტორმა, საქმის უბადლო ცოდნითა და სიყვარულით კიდევ სხვაა. ნაშრომში მოტანილი ყველა საბუთი უდავოდ სარწმუნოა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი. მინდა ავღნიშნო, რომ ეს არაა მხოლოდ მშრალი ჩამონათვალი ან უბრალოდ საარქივო მასალების წარმოჩენა, არამედ მისი წაკითხვისას დეტალურად ვეცნობით არა მარტო კონკრეტულად ფარმაციის აღორძინებას სამხრეთ საქართველოში, რაც წიგნის მთავარი ხაზია, არამედ ამ ურთულეს რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვან ინიციატივებს იქნება ეს მეწარმოება, საგანმანათლებლო თუ თეოლოგიური საქმიანობა რაშიც წიგნის ავტორის უშუალო წინაპრები იყვნენ ჩართულნი.

ყოველი ფარმაცევტი მაისურაძე, რომელიც ნახსენებია ამ წიგნში წარ-

მოჩინდება როგორც მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე და თავდადებული მამულიშვილი. მათთან ბუნებრივად კავშირშია ახალციხის საზოგადოების არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ამგვარად იკვეთება იმ დროს სამცხე–ჯავახეთის კულტურულ–ისტორიული ყოფითი სურათი; რამდენი თავდადებული ჰყოლია მაშინაც ქვეყანას ამ ისტორიულ კუთხეში; ეს ადამიანები თავიანთი თავისუფლებისა და სიცოცხლის რისკის ფასად იბრძოდნენ ისტორიული ფასეულობების და ქართული ენის გადასარჩენად.

ამ ნაშრომით ბატონმა თენგიზმა ვალი მოიხადა არა მარტო საკუთარი წინაპრების (როგორც მან გამოსვლის დასაწყისში აღნიშნა) და შთამომავლების წინაშე, არამედ ზოგადად ქვეყნის წინაშე, შექმნა რა ფასდაუდებელი მატიანე ქართული ფარმაციისა, დავიწყებას არ მისცა მაისურაძეთა ღვაწლი ამ საქმეში. ავტორმა დაგვანახა მისი სათაყვანო მესხეთი თავისი ვალმოხდილი მამულიშვილებით და თანამედროვეებს სულ სხვაგვარად დაგვანახა იმ საუკუნეების საქართველოს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი და უძველესი კუთხე, მესხეთი და მისი გული, ახალციხე.

მინდა ასევე ავღნიშნო პროფესორ რამაზ შენგელიას შესანიშნავი წინასიტყვაობა, რომელიც დაწერილია საქმის ღრმა ცოდნით და ავტორის ღვაწლისადმი პატივისცემით.

ნანა დვალი
დვალების საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე

კერვალიშვილები



1995 წელს გაცემული ვაუჩერების მიხედვით საქართველოში რეგისტრირებულია 777 კერვალიშვილი (თბილისი–340, ონი 139, ამბროლაური–83) და 147 მკერვალიშვილი (თბილისი–79, ქუთაისი–20, ბათუმი–150). გარდა ამისა, დასახელებულია ამ გვარის საერთო ფუძიდან „კერვალ„, „მკერვალ„–დან ნაწარმოები გვარების რაოდენობა: კერვალიძე–123, კირვალიძე –2311, მკერვალიძე–109 და მკერვალი–28.

კერვალიშვილთა (მკერვალიშვილთა) გვარის წარმომადგენელთა შედარებით დიდი რაოდენობა ცხოვრობს ონის რაიონის სოფლებში სორში, ჭირბევში, ბართში და ამბროლაურის რაიონის სოფლებში კვაცხუთში, ჭრებალოში და ზედა ჟოშხაში. ამ გვარის წარმოშობის შესახებ წერს აკადემიკოსი იაკობ ახუაშვილი (ქართული გვარ–სახელები„ ტომი (1994 წ.):

„მკერვალიშვილი (კერვალიშვილი) ორბელიანთა შტოგვარია – 1823 წლის აღწერით სოფ. კოდაში (თეთრიწყაროს რაიონი) მოიხსენიება პოდპოლკოვნიკი ლუარსაბ ორბელიან–მკერვალიშვილი„ (ცსსა, ფ. 254, 1.802. ფურ. 43–76).

„კუმისის მცხოვრებმა მებატონე–აზნაურის ზურაბ მკერვალიშვილის 22 წლის ყრმამ პირველითა ქორწინებითა 1832 წელს იქორწინა„.... და ა. შ. (ფ. 489 აღწ. 6 საქ. 150. ფურც. 43).

„ვაშლოვანში მცხოვრებ აზნაურს, ზაალ მკერვალიშვილს, 1822 წელს დაებადა ვაჟი... და ა. შ. (ფ. 489 №6, 14 ფურ 15–26). აკადემიკოსი იაკობ ახუაშვილი თავის წიგნში „დიდი სათავადო საყაიფლანო„ (2009 წ. გვ. 86) წერს: „თავად ორბელიანებიდან იღებენ სათავეს ქართული გვარები, მკერვალიშვილები (კერვალიშვილები). 1721 წლის აღწერით ისინი იყვნენ ქვემო ქართლის მებატონე–მემამულეები, შემდეგ ბევრ სხვა გვართან ერთად ჩანან რაჭაში, კახეთში, იმერეთში და სხვაგან). ისინი 1840–იან წლებში ქვემო ქართულიდან გადადიან და სახლდებიან სოფლებში (რაჭას) – ბარი, კვაცხუთი, სორი, ღარი, ჭიბრევი„...

„ორბელიანთა გვარიდან წარმოშობილი გვარებია: მკერვალიშვილი (კერვალიშვილი) 1511 წ.„ და ა. შ. (იგივე წიგნი გვ. 239).

„ორბელიანები – შედის გვარები: მკერვალიშვილ–კერვალიშვილები.... კირვალიძეები„ .... და ა. შ. (იგივე წიგნი გვ. 288).

გარდა ამისა, არსებობს გადმოცემა, რომ კერვალიშვილთა გვარი ადრეულ წლებში სამეფო გვარის წარმომადგენელთა აღჭურვილობისათვის აწარმოებდა რვალს, რომელიც გამოიყენებოდა ბრძოლაში დამცავი ბეგთ–არის დასამზადებლად. ასევე საავარაუდოა, რომ ამ გვარის წარმოშობა დაკავშირებული იყოს უშუალოდ საწარმოო საქმიანობასთან: მკერვალი, კერვალი... და ა. შ.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, კერვალიშვილთა გვარი ძირითადად განსახლებულია ონის რაიონში. ამ ოციოდე წლის წინ სამსახურეობრივი მივლინებით მოვხვდი ონის რაიონის სოფ. ჭიბრევში, სადაც ამ სოფლის უხუცესმა, შაქრო კერვალიშვილმა მითხრა, რომ კერვალიშვილები რაჭის სოფლებში გადასულები არიან ამ სოფლიდან (ჭიბრევიდან), სადაც დღესაც დგას მათი საგვარეულო კაკლის (ნიგვზის) ხე და ხუმრობით დააყოლა, რომ საახალწლოდ კერვალიშვილებმა ამ სოფელში (ჭიბრევში) მხოლოდ ინდაური უნდა ამოიყვანონ, საცივისათვის საგვარეულო კაკალი (ნიგოზი) უკვე აქ დაგხვდებათო.

როგორც ჩემთვის ცნობილია, ჩვენი გვარის შესახებ საინტერესო გადმოცემა (თუ წერილები), გააჩნდა ამ გვარის ერთ–ერთი ღირსეულ წარმომადგენელს, ცნობილ ენერგეტიკოსი. პროფესორ ოთარ კერვალიშვილს, რომელიც წარმოშობით სოფ. სორიდან (ონის რაიონი) იყო, მან გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დამირეკა და მითხრა ამის შესახებ (სამწუხაროდ ჩვენი შეხვედრა არ შედგა).

2009 წლის ოქტომბერში მრავალძალის ეკლესიის მცველმა ფილოლოგმა ბართლომე სხირტლაძემ მითხრა, რომ მას წინაპრებიდან გაგონილი ჰქონდა, რომ კერვალიშვილთა გვარი ღმერთისგან დალოცვილია, რადგან ამ გვარში ქრისტეს თორმეტი მოციქულის მსგავსად 12 ასოა და მოჰყვა ბებიამისის აღათის დანაბარები, რომელიც მისი წინაპრებიდან ყოფილა ცნობილი: „შვილო! თუ ვინმე კერვალიშვილი ნახო, თუნდაც სადმე გზაში დავრდომილი და დავარდნილი, დაუფიქრებლად აიყვანე, სახლში წაიყვანე და მოუარე, ის აუცილებლად აგაშენებს და დაგასახლებსო„...

ძალზე საინტერესოა ამ გვარის მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა ვინაობის დადგენა, ვინაიდან დედის როლი შვილების აღზრდის საქმეში დაუფასებელია. აწ. გარდაცვლილი აკადემიკოსი, ჩვენი გვარის ღირსეული წარმომადგენელი, ყოფილი ვიცე–პრემიერი – ზურაბ კერვალიშვილი, ცნობილ ფილოლოგზე, მასწავლებელსა და განთქმულ თამადაზე სიმონიკა სხირტლაძეზე მეუბნებოდა: „აღარ მიკვირს, სიმონიკა ასეთი ტკბილმოუბარი მოქართულე და თამადა რომ იყო, თურმე დედა კერვალიშვილის ქალი ჰყოლიაო„.

ჩემს სოფელში, ამბროლაურის რაიონის სოფელ ჟოშხაში, ცხოვრობს კერვალიშვილების 12 ოჯახი (აქედან სამი ოჯახი ჩასახლდა სოფ. ჭრებალოში). დღეისათვის ეს ოჯახები წარმოდგენილია ამ გვარის ორი შტოს სახით. აწ. განსვენებულნი ნოე და პეტრე კერვალიშვილების გადმოცემით, სოფელ ჟოშხაში 1840–50 წლებში უკვე ცხოვრობდნენ სამი ძმა სტეფანე, დავითი და მახარობელი. მათ მამას სავარაუდოდ ერქვა პეტრე, საიდან ჩამოსახლდნენ ჩემთვის უცნობია. ამ სამი ძმიდან – სტეფანეს ჰყოლია სამი ვაჟი: გლახუა, თევდორე და გრიგოლი, დავითს ერთი – ადოლია, ხოლო მახარობელს – ლევანი. ეს შტო ამჟამად წარმოდგენილია 6 ოჯახით, კერვალიშვილების ერთი ოჯახი ცხოვრობს დაბა ლენტეხში. სოფ. ზედა ჟოშხაში ცხოვრობს ამ გვარის მეორე შტო, რომელიც წარმოდგენილია 5 ოჯახით, ოღონდ მათი წინაპრების ვინაობა ჩემთვის უცნობია, შესაძლებელია ამ ორივე შტოს საერთო წინაპარი იყო ზემოთ ნახსენები პეტრე. სოფელი ჟოშხა (1840 წლიდან 1924 წლამდე) ლეჩხუმის მაზრას ექვემდებარებოდა, თუმცა ისტორიულად ეს სოფელი და მასთან ერთად კიდევ 5 სოფელი – გენდუში, ჭრებალო, ჭყვიში, ქვიშარი და ლაბეჭინა რაჭას ეკუთვნოდა.

სოფ. ზედა ჟოშხაში მცხოვრები კერვალიშვილების ერთი შტოს წარმომადგენლები იყვნენ აწ. გარდაცვლილნი: ცნობილი ექიმი–თერაპევტი ევგენ კერვალიშვილი, რომელიც წლების განმავლობაში ნაყოფიერად მოღვაწეობდა სოფ. სორში და სოფ. ჭრებალოში, ნოე კერვალიშვილი, რომელიც წლების განმავლობაში იყო ზედა ჟოშხის სოკლის დირექტორი, სოფ. ჭრებალოს კოლმეურნეობის და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, შალვა კერვალიშვილი – ცნობილი მეღვინე, რომელიც მოღვაწეობდა ჯერ თბილისში, შემდეგ ყაზახეთში, მანამდე ისიც სოფ. ჭრებალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, ანეტა კერვალიშვილი, რომელიც მუშაობდა სოფ. ჭრებალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ცნობილი მხატვარი პეტრე კერვალიშვილი, მძოლები სერგო, ევგენ და ჯემალ კერვალიშვილები, კოლმეურნეების იაკობ, ბესარიონ, გიორგი, მეთოდე, კალიტე, ალექსანდრე და ბუხუტი კერვალიშვილები, ფინანსისტი – ჟორა კერვალიშვილი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა სოფ. ჭრებალოს კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტრად. დღეს ნაყოფიერად მოღვაწეობენ ცნობილი ექიმები: გიორგი, ბელა, ლიუდმილა კერვალიშვილები, ლიუდმილა კერვალიშვილები, ფილოლოგი რუსუდან კერვალიშვილი, ინჟინრები რომან და ბორის კერვალიშვილები, ეკონომისტები დადაში და ევგენ კერვალიშვილები, პედაგოგი თინა კერვალიშვილი, ბიოლოგი და იურისტი მარინა კერვალიშვილი, იურისტი და პოეტი მირანდა კერვალიშვილი, გეოგრაფი სალომე კერვალიშვილი, სხვადასხვ აპროფესიის მქონენი: ზურაბ, ზაზა, გიორგი, ანდრო, ქეთინო, ჯილდა, ნინო, ნანა, იზო, მზია, თამუნა, თამთა, ეკა, თეკლა, ლევან, გიორგი, ლუკა კერვალიშვილები და ა. შ.

საკმაოდ ცნობილი წარმომადგენელები ჰყავდა სოფ. ზედა ჟოშხაში მცხოვრებ კერვლაიშვილთა მეორე შტოს. მათ შორის არიან აწ გარდაცვლილნი დამსახურებული პროვიზორი გენადი კერვალიშვილი, ექიმი ნიკო კერვალიშვილი, პედაგოგები ივლიტა და თინა კერვალიშვილები, მძღოლი რაჟდენ კერვალიშვილი, მეტყევე მიხეილ (მიშა) კერვალიშვილი და მისი შვილები ვახტანგ, ვაჟა და შამილ კერვალიშვილები. მოწინავე კოლმეურნეები სევარიონ, სამსონ, ბონდო და ნოდარ კერვალიშვილები, ადრე გარდაცვლილი სტუდენტი ალიკო კერვალიშვილი. განსაკუთრებით გული დაგვწყვიტა კარგი პედაგოგის, ჭრებალოს საშუალო სკოლის დირექტორის დალი კერვალიშვილის, ინჟინერ–ეკონომისტის რევაზ კერვალიშვილის და მშენებელ ომარ კერვალიშვილის ახალგაზრდა ასაკში მოულოდნელმა გარდაცვალებამ. შემზარავი იყო 29 წლის ასაკში გოგიტა კერვალიშვილის გარდაცვალების ფაქტი. მას დავეხმარე საგზაო სისტემაში სამსახურის დაწყებაში. ჩემდაგასაკვირად ოციოდე წლის ბიჭმა 3–4 წლის განმავლობაში, როცა ის ჩვენთან (საგზაო ფონდში) მუშაობდა, ისეთი ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა თანამშრომელთა შორის, რასაც ზოგიერთი ჩვენთაგანი ათეული წლების განმავლობაში ვერ მოახერხებდა. დღესაც ნაყოფიერად შრომობენ ინჟინერი თემურ კერვალიშვილი (სანტ–პეტერბურგი), სტომატოლოგი რუიზან კერვალიშვილი ბიოლოგი ზიზილო კერვალიშვილი, ინჟინერ–ეკონომისტი ჯონი კერვალიშვილი, ეკნომისტი ქეთევან კერვალიშვილი, სხვადასხვა პროფესიის მქონენი: ნესტორ (როსტომ), ბეჟან, ავთანდილ, ბონდო, ბექა, ნია, ფიქრია, ნიკა კერვალიშვილები და ა. შ.

ცალკე აღნიშვის ღირსნი არიან გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლაში (1941–1945 წ. წ.) ბრძოლაში უგზო–უკვლოდ დაკარგულნი: გიორგი, ნიკო, სეითო, ბიძინა და იასონ კერვალიშვილები, 1944 წელს გარდაცვლილი 16 წლის შოთა კერვალიშვილი.

ჟოშხელი კერვალიშვილების გვარის 6 წარმომადგენელი შეყვანილნი არიან პროფ. ირ. დვალის წიგნში („ჩემი რაჭა„ II ტომი 2007 წ.).

ზემოთმოყვანილი სტატია არის პირველი ცდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განსახლებული კერვალიშვილების გვარის ისტორიის აღწერისა, რაც რასაკვირველია შეცდომებისგან ვერ იქნება დაზღვეული. შეიძლება ვინმე გამომრჩა კიდეც, რისთვისაც ყველას წინასწარ ბოდიშს ვუხდი, მაგრამ ნათქვამია, ვინც არაფერს აკეთებს, მას შეცდომებიც არ მოსდის, მე დავიწყე და თქვენ გააგრძელეთ.

2011 წლის 5 ივნისს ირაკლი, ზურაბ, თემურ, გურამ და ოთარ კერვალიშვილების თაოსნობით წმ. სამების ტაძარში შეიკრიბნენ კერვალიშვილების გვარის წარმომადგენლები თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. პატრიარქმა დალოცა კერვალიშვილების გვარი და აკურთხა გვარის მფარველი წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების სახელობის საგვარეულო ხატი (რომელიც მანამდე სპეციალური შეკვეთით დაიწერა). მფარველი ხატი პერიოდულად იქნება დაბრძანებული ყველა კერვალიშვილის ოჯახში. გვარის დალოცვისა და ხატის კურთხევის შემდეგ გაიმართა ხალხმრავალი ბანკეტი.

უკვე 5 წელია კერვალიშვილები იკრიბებიან რაჭაში პეტრე–პავლობის დღესასწაულზე სოფ. სორში, სადაც ხდება გვარის დალოცვა და ჯანმრთველობის პარაკლისის გადახდა გვარის მფარველ პეტრე და პავლე მოციქულების ხატთან, რომელიც დაბრძანებულია სოფ. სორის XIII საუკუნის მონასტრის ჯვარცმის ეკლესიაში (ამ სოფელში დღეისათვის კომპაქტურად ყველაზე მეტი კერვალიშვილი ცხოვრობს).

მართალია ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ საკმარისი არაა. საჭიროა გვარის სიმბოლიკის (დროშა, გერბი) შექმნა, გამოსაცემია გვარის ისტორია, ამისათვის საჭიროა შეიქმნას საგვარეულო ფონდი, სადაც თავს მოიყრის ნებაყოფლობით გადმორიცხული თანხები. ეს თანხები გამოყენებული იქნება როგორც ზემოაღნიშნული მიზნებისათვის, ისე გვარში არსებული მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების დახმარებისათვის, გვარში გამორჩეული პიროვნებების დაჯილდოებისათვის და ა. შ.

P. S. კერვალიშვილების გვარის წარმომადგენლებს გთხოვთ მომაწოდოთ თქვენთვის ცნობილი ფაქტები გვარის ისტორიის შესახებ წერილობითი სახით. ველით თქვენს გამოხმაურებას (ტელ: 599 53 19 19).

ოთარ კერვალიშვილი
საქართველოს საინჟინრო აკადემიის
წევრ–კორესპონდენტტი
კერვალიშვილების
საგვარეულო კავშირის
თავმჯდომარე

მაია ღუმბაძე – წიგნიდან ემიკროფონიდან, ეთერიფონიდან

ერთ ქილაში ჩატეული სიმართლე!

ერთ შორეულ ქვეყანაში, ფილოსოფიის ლექტორმა სემინარი იმით დაიწყო, რომ მაგიდაზე რაღაც-რაღაცეების დალაგებას შეუდგა. სტუდეტები სულგანაბულები ადევნებდნენ თვალყურს. ბოლოს, პროფესორმა მაგიდაზე ერთი მოზრდილი მინის ქილა დადო და პირამდე რიყის ქვებით აავსო. შემდეგ მიუბრუნდა აუდიტორიას და ჰკითხა, რას იტყვით ყმაწვილებო, სავსეა თუ არა ქილაო? სტუდენტებმა უპასუხეს, დიახ, სავსეაო.

შემდეგ პროფესორმა ხრეშით სავსე ყუთი ჩაცალა ქილაში. ხრეშმა თავისუფლად გაიკვლია გზა ქვებს შორის დარჩენილ სივრცეში და ქილა შეავსო. პროფესორმა ერთხელ კიდევ ჰკითხა სტუდენტებს, სავსეა თუ არა ქილა პირამდეო. სტუდენტებს გაეცინათ და კვლავ დაეთანხმნენ.

პროფესორმა ახლა ქვიშით სავსე ტომსიკა ჩააპირქვავა ქილაში. ქვიშა სრიალ-ასრიალით მოედო ქილას და დარჩენილი ღრიჭოებიც ამოავსო.

პროფესორს სტუდენტებისთვის აღარაფერი უკითხავს, მხოლოდ დასძინა:

მე მინდა, რომ ახლა ერთ რამეზე შევთანხმდეთ: ეს ქილა თქვენი ცხოვრებაა. მასში მთავარი ქვებია – თქვენი ოჯახი, მშობლები, შვილები, ჯანმრთელობა, ყოველივე ის, რაც თქვენი ცხოვრების აზრია და რისი დაკარგვაც გაგანადგურებდათ. ხრეში მეორეხარისხოვანია და ეს არის თქვენი სახლი, სამსახური, მანქანა... ქვიშა ყველაფერი დანარჩენია – პატარ-პატარა ყოფითი საგნები. თუ ქილის შევსებას ქვიშითა და ხრეშით დაიწყებთ, ქვებისთვის ადგილი აღარ დაგრჩებათ. ასე მოხდება ცხოვრებაშიც. თუ მთელ დროსა და ენერგიას „ქვიშისა და ღორღის“ შეგროვებას მიუძღვნით, ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი საქმეებისთვის სიცოცხლე აღარ გეყოფათ.

უმეტესი დრო ყველაზე სანუკვარ საქმეებს დაუთმეთ, ეთამაშეთ შვილებს, ეცეკვეთ შეყვარებულს, მოეფერეთ მეგობარს და ნახავთ, რომ ისეთი რამეებისთვის, როგორიცაა სამსახური, დალაგებული სახლი, კმაყოფილი სტუმარი და „დროსტარება“, დრო თავზე საყრელად გექნებათ.

ჯერ ქვებზე იფიქრეთ! – თქვენი ცხოვრების ჭეშმარიტ არსზე.

და იყავით ბედნიერი!!! – იმედია, გაგიმართლებთ!

დაე, შენს ხელებს საქმე საძებარი ნურასდროს ექნება;

დაე, შენს ჯიბეში მუდამ იჩხრიალოს საკმარისმა ხურდამ;

დაე, შენს ფანჯრებში მუდამ ანათებდეს მზე;

დაე, ყოველი წვიმის შემდეგ ცისარტყელამ გამოანათოს;

დაე, ღმერთმა მეგობრის ხელი ნუ მოგიშალოს;

დაე, ღმერთმა გული სიხარულით აგივსოს.

რაც ახლა მოისმინეთ, სიტყვასიტყვით გადაეცით თქვენს ახლობლებს! ახლავე! ვინც თქვენგან შორს არის, ფოსტით გაუგზავნეთ და თან სურვილი ჩაუთქვით! ხომ გიყვართ, როცა ოცნებები გისრულდებათ? ჰოდა, როგორც გითხარით, ისე მოიქეცით! სურვილი ჩაუთქვით და აუცილებლად აგისრულდებათ! ჩაუთქვით?

რაც მეტს მიაწვდენთ ამ ამბავს, მით უფრო ადრე აგისრულდებათ ოცნება. თავად წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი მოგბაძავთ და რამდენს ჩაესახება ოცნების ასრულების იმედი. მაშ დავიწყოთ, დავლოცოთ ერთმანეთი?!

გვარიშვილობა

ვანა ის არის მთავარი,
ვარგოდე შენი თავისთვის!
ენდა ძალ–ღონე გერჩოდეს,
რამე არ გაკლდეს ხვალისთვის!
ისაა კარგი კაცობა,
შვილად ვარგოდე გვარისთვის!
ვის რა უჭირდეს? აქ იყო,
იბრძოლო შენი ხალხისთვის!
სამაზი ქვეყნის შვილი ხარ,
ოფლს ღვრიდე კეთილ საქმისთვის!
ყევრს ვინცა შრომობს, მადლობა
ერ დაგეზაროს კაცისთვის!

2013 წ. 4 ივნისი

ი. ბელაშვილი

მკითხველთა საყურადღებოდ!

მოწოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ ,,გვარი და ტრადიციასთან“, მოგვაწოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ **E-mail:vaja39@mail.ru**

ISSN 2449-2280
გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ:
www.dspace.nplg.gov.ge

ჩვენი რეკვიზიტებია:

სრულიად საქართველოს გვარის
წინამძღოლთა დარბაზის ფონდი
ს/კ 404953154
ბანკი: ,,რესპუბლიკა“ ბანკი
ა/ა **GE51BR0000010385861378**

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

საკონტაქტო ტელეფონები:
790770871; 593 531 950

სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუიძე
ვაჟა ნადირაშვილი ტელ: 599 90-26-01
თენგიზ მაისურაძე ტელ: 599 97-41-90
მერაბ ლეკვეიშვილი ტელ: 577 41-02-00
ნინო სულამანიძე ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871